საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 637/01
25/01/2022

637-01-2-202201251541

შპს „პოულტრი ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ლილოს დასახლება, მეფრინველეთა ქ. N1-ა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის N23357 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში GPS კოორდინატები, მათ შორის ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის კოორდინატები არასწორადაა წარმოდგენილი, შესაბამისად, ვერ იდენტიფიცირდება ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილის ზუსტი ადგილმდებარეობა;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია მდ. ლოჭინში, რომელიც მდებარეობს საპროექტო გამწმენდი ნაგებობიდან 373 მეტრის დაშორებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი უნდა იყოს მილსადენის დერეფნის shp ფაილები;
- წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია მილსადენის გაყვანის ტექნიკური გადაწყვეტის, გადასაკვეთი ობიექტებისა და მათ მესაკუთრეებთან შეთანხმების შესახებ;
- წარმოდგენილი უნდა იყოს გამწმენდი ნაგებობის საპასპორტო მონაცემები და გაწმენდის ეფექტურობის კოეფიციენტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით გადამუშავებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044